განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გამოყენებითი მათემატიკა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 16.02.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი 11.05.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი მათემატიკა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მათემატიკის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დალაქიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანზორ ბერიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლექსო ტორიაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გამოყენებითი მათემატიკა წარმოადგენს მათემატიკის ერთერთ მნიშვნელოვან ქვედარგს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი რთული პროცესების მოდელირება და კვლევა, როგორც არსებული მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით, ასევე ახალი მოდელების შემუშავებისა და მათი კვლევის საფუძველზე. თანამედროვე ეტაპზე ამ სფეროს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს, რადგან სხვადასხვა მიმართულებისა და სირთულის პროცესების კვლევის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების სფეროში (გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით) გარკვეული გამოცდილებაა დაგროვილი, რადგანაც აქ 1999 წლიდან ამ მიმართულებით ფუნქციონირებს მაგისტრატურა (თავიდან მუშაობდა "გამოყენებითი მათემატიკის" პროგრამა, შემდეგ "მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების" პროგრამა, დღეს კვლავ "გამოყენებითი მათემატიკის"). აღნიშნული გარემოება სერიოზული წინაპირობა იყო იმისთვის, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამუშავებულიყო სადოქტორო პროგრამა **"მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი",** რომელიც აკრედიტებულია 2013 წლიდან.

ამ სადოქტორო პროგრამის 5 - მა კურსდამთავრებულმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია წარადგინა სადოქტორო დისერტაცია, რომლიც დაცვა დაგეგმილია უახლოესს მომავალში.

აღნიშნულ პროგრამაზე დაყრდნობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალი სადოქტორო პროგრამების შექმნის შესახებ. კერძოდ, ცალცალკე, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების განხრით, რაც თავის მხრივ უფრო დააკონკრეტებს და გააძლიერებს „გამოყენებითი მათემატიკის" მიმართულებით კვლევით კომპონენტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2018 წლის 16 თებერვალს ვეწვიეთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ვიზიტი დაიწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან - კანცლერთან და ხ/უ სამსახურის უფროსთან შეხვედრით. ამ საქმიანი და ინფორმატიული შეხვედრის შემდეგ გავესაუბრეთ თვითშეფასების ჯგუფის წევრებს. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა გაგვიზიარეს თავისი მოსაზრება პროგრამის შესახებ და აღგვიწერეს როგორ მონაწილეობდნენ თვითშეფასების დოკუმენტის შედგენაში. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ , ფაკულტეტის ხ/უ სამსახურის უფროსმა , სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსმა მოგვაწოდეს ინფორმაცია ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის წარმართვის შესახებ. პროგგორამის ხელმძღვანელმა და პროგრამაში ჩართულმა სხვა პირებმა გაგვიზიარეს როგორც თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება ასევე დეტალურად ისაუბრეს პროგრამის თემატიკასა და მნიშვენლობაზე. ფაკულტეტის ხ/უ სასმსახურის უფროსთან ერთად დავათვალიერეთ სასწავლო და სამუშაო პროცესისთვის განკუთვნილი სივრცე. სამწუხაროდ, დატვირთული განრიგის გამო დამსაქმებელმა-ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვერ მოახერხა

ჩვენთან პირადად შეხვედრა, მაგრამ მას გავესაუბრეთ ტელეფონით და მან გაგვიზიარა თავისი დადებითი აზრი პროგრამის შესახებ და დაადასტურა, რომ მოხარული იქნება დაასაქმოს პროგრამის კურსდამთავრებულები. საინტერესო და ინფორმატიული იყო შეხვედრა „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო სასიამოვნო და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფილი გარემო რამაც ხელი შეუწყო ექსპერტების მუშაობას.

ვიზიტის დასასრულს ძირითადი მიგნებები გავაცანით უნივერსიტეტი ადმინისტრაციას და პროგრამის ხელმძღვანელს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

2018 წლის 16 თებერვალს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვიზიტისას დაიწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან- შეხვედრისას დადასტურდა რომ პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. დამსაქმებელთან და „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას გამოჩნდა რომ კურსდამთავრებულები არიან კონკურენტუნარიანები და დასაქმებულები. პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან საუბრისას დავრწმუნდით, რომ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კვლევებში, საერთაშორისო ღონისძიებებსა და თანამშრომლობაში. სილაბუსების წაკითხვის, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პროგრამაში მონაწილეობს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, პროგრამის კურსების შინაარსი ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას, პროგრამის სტრუქტურა და კურსების თანამიმდევრობა მეტწილად ემსახურება პროგრამის მიზნებს. სამუშაო და სასწავლო სივრცის დათვალიერებისას ვნახეთ, რომს სტუდენტებს აქვთ ტექნიკურად აღჭურვილი სივრცე სწავლისა და მუშაობისთვის. უნივერსიტეტში არის კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სადაც დასაქმებულია კვალიფიციური პერსონალი, სასურველია ბიბლიოთეკის გამდიდრება. ფაკულტეტის ადმიინისტრაციასთან შეხვედრისას დადასტურდა რომ პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს კვალიფიციური პერსონალი. თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან და ხ/უ სამსახურის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას გამოჩნდა, რომ ხდება პროგრამ(ებ)ის შიდა და გარე შეფასება, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა რაც მნიშვნელოვანია პროგრამ(ებ)ის გაუმჯობესებისთვის.

- **რეკომენდაციები**
  - მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყოს გამოცემული იმ ენაზე რომელი ენის ცოდნაც მოეთხოვება კანდიდატს პროგრამაზე დაშვებისას (სასურველია ინგლისური).
  - საჭიროა ბიბლიოთეკა გამდიდრდეს ახალი გამოცემებით
  - მნიშვნელოვანია პროგრამის დაფინანსების (სამეცნიერო ღონისძიებებში და საერთაშორისო კოლაბორაციებში მონაწილეობის, ასევე სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურის შეძენის დაფინანსების) წესი იყოს სისტემური, გამჭვირვალე და ფორმალიზებული.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია დაზუსტდეს რა ღირებულებებს უყალიბებს პროგრამა კურსდამთავრებულს, მაგალითად სამეცნიერო/აკადემიური ეთიკა.
  - სასურველია პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები;
  - სასურველია არაინგლისურენოვანი დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტმა აიღოს ინგლისური ენის კურსების შეთავაზების ვალდებულება;
  - სასურველია არაინგლისურენოვანი დოქტორანტებს დაეკისროთ ინგლისური ენის კურსის ათვისების ან შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება.
  - სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია საქართველოს სხვა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში მიმდინარე სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ და წახალისდეს მათი მონაწილეობა ამ ღონისძიებებიში.
  - სასურველია წახალისდეს, მათ შორის ფინანსურად, სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და თანამშრომლობაში.
  - სასურველია სასწავლო მასალებში გამოყენებული იყოს თანამედროვე პუბლიკაციები
  - სასურველია კიდევ უფროგაიზარდოს საერთასორისო კონფერენციების მონაწილეობისა და საერთასორისო კოლაბორაციისთვის საჭირო ბიუჯეტი

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პერიოდულად ტარდება სემინარები სადაც დარგის წამყვანი სპეციალისტები საუბრობენ თანამედროვე მიღწევებზე.
  - კარგი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ილია ვეკუას სახელობითი სტიპენდია.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, კერძოდ, უნივერსიტეტის შემდეგ მიზნებს: • მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; • უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა), უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების განხორციელება; • ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია; • საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება; • პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდა და სამეცნიერო საქმიანობის წარმოება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო არენაზე; პროგრამა ნათლად არის ჩამოყალიბებული, **პროგრამის მიზანს წარმოადგენს:** • მეცნიერების სხვადასხვა დარგში (საბუნებისმეტყველო, სოციალური, საინჟინრო, ჰუმანიტარულ და სხვა) მათემატიკური მოდელირების, გამოთვლითი მათემატიკისა და მათემატიკური ფიზიკის მეთოდებისა და მოდელების გამოყენებების შესახებ არსებული ცოდნის გაფართოება, ინოვაციური, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება. • დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის, უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით. დამსაქმებელმა სატელეფონოს საუბარში დაგვიდასტურა, რომ მოხარული იქნება დაასაქმოს პროგრამის კურსდამთავრებული ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში.

დასაქმებულები არიან „მშობელი პროგრამის“ კურსდამთავრებულები, ეს გარემოებები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. **გამოყენებითი მათემატიკა** წარმოადგენს მათემატიკის ერთერთ მნიშვნელოვან ქვედარგს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი რთული პროცესების მოდელირება და კვლევა, როგორც არსებული მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით, ასევე ახალი მოდელების შემუშავებისა და მათი კვლევის საფუძველზე. თანამედროვე ეტაპზე ამ სფეროს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს, რადგან სხვადასხვა მიმართულებისა და სირთულის პროცესების კვლევის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება უნივერსიტეტი ადმინისტრაციასთან • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან • გასაუბრება დამსაქმებელთან
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდიკა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემასა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესორის ასისტირება რომელიც უნვითარებს დოქტორანტს პედაგოგიურ უნარ-ჩვევებს. კვლევითი კომპონენტის მნიშვნელოვანი ელემენტებია სემინარის და კოლოქვიუმი, ამ პროცესში სტუდენტი ეცნობა სამეცნიერო ლიტერატურას და წარმოაჩენს საკუთარი ნაშრომის აქტუალობისა და შედეგებს რაც მნიშვნელოვანია სამეცნიორი ჯგუფში მუსაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი იღებს მონაწილეობას სამეცნიერო კვლევაში და სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე უნდ აგამოაქვეყნოს ორი პუბლიკაცია რეფერირებად ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება პროგრამაში მონაწილე პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა ეტაპობრივი პრინციპით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი შედეგები გულისხმობს. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს შორის. სადოქტორო პროგრამა მოიცავს **180 ECTS** კრედიტს, რომელთაგან **60 ECTS** განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი - **120 ECTS** კრედიტი ეთმობა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი გადანაწილებულია სწავლების პირველ და მეორე სემესტრებზე (დაწვრილებით სასწავლო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართები); შესაბამისად, აღნიშნულ სემესტრებში დოქტორანტი აითვისებს **42 ECTS** სავალდებულო კრედიტს და **18 ECTS** არჩევით კრედიტს. (იხ. პროგრამის სტრუქტურა) სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სასწავლო კომპონენტი მიმართულია, რათა დოქტორანტმა, თავისი ინტერესებიდან და საკვალიფიკაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად შეარჩიოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოყენებითი მათემატიკის საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (დაწვრილებით სამეცნიერო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, შესაბამისი დანართები); მოიცავს **120 ECTS** კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (დაწვრილებით სამეცნიერო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, შესაბამისი დანართები); მოიცავს **120 ECTS** კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის **15 ECTS** კრედიტი ეთმობა კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციას; **105 ECTS** კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას, საბოლოოდ გაფორმებას და პრეზენტაცია/საჯარო დაცვას. მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის **15 ECTS** კრედიტი ეთმობა კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციას; **105 ECTS** კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას, საბოლოოდ გაფორმებას და პრეზენტაცია/საჯარო დაცვას. სადოქტორო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერის სათანადო დოზით. სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო

პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების მკვლევარისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და შესაბამისი კომპეტენციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება პროგრამაში მონაწილე პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაზუსტდეს რა ღირებბულებებს უყალიბებს პროგრამა კურსდამთავრებულს- მაგალითად სამეცნიერო/აკადემიური ეთიკა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ის გარემოება, რომ „მშობელი პროგრამის“ კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულნი სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აწარმორბდნენ და აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს, იყვნენ და არიან ცარტულნი საერთასორისო კოლაბორაციასი და მონაწილეობდნენ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. კურსდამთავრებულები შეძლება დასაქმდნენ სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო – საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელისუფლებო და კერძო სტრუქტურებში, სადაც ესაჭიროებათ მათემატიკური მოდელირების, პროგნოზირებისა და ანალიტიკის სპეციალისტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- გასაუბრება დამსაქმებელთან
- გასუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი არის საჯარო და გამჭვირვალე, ხოლო პროგრამის განვითარებაში, მის შემდგომ სრულყოფაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).
როგორც პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გვითხრა სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, განსაზღვრულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ადამიანური რესურსი და პროგრამის მომზადების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი; კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ხელმძღვანელობს პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. როგორც პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გვითხრა გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით. პროგრამა განხილულია გამოყენებითი მათემატიკისა და მათემატიკური მოდელირების მიმართულების აკადემიური პერსონალის სხდომაზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. სწავლის შედეგების ოპტიმალურად და რეალისტურად განსაზღვრის, არსებული პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით პროგრამით დაინტერესებული პირები (აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები, კურსდამთავრებულები, სავარაუდო დამსაქმებლები) აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა გამოიხატება გუნდური მუშაობის პრინციპით, რაც გარანტიაა იმისა, რომ პროგრამა არ არის მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ხედვის გამომხატველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან
- გასაუბრება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან
- გასაუბრება პროგრამაში ჩართულ პერსონალთან

• გასუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის: • მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი საბუნებისმეტყველო, საინჟინრო ან სოციალურ მეცნიერებებში ; • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო-ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული) - B2 დონე; • გასაუბრება მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან; • კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები (მობილობა, უცხო ქვეყნის მოქალაქეები). აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში. შესაბამისად, ის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი იქნება პროგრამით დაინტერესებული პირებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამაზე საბუნებისმეტყველო (იგულისხმება მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერება) ან საინჟინრო მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა დაშვება ლოგიკურია და ის უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. მსურველთა კომპეტენცია და პროგრამის ათვისების შესაძლებლობა დგინდება გასაუბრების საშუალებით. აღნიშნული კვალიფიკაციის პირთა პროგრამაზე დაშვების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს საკვლევი თემატიკითაც. მაგალითისათვის, წინა სადოქტორო პროგრამის რამდენიმე დოქტორანტი სწავლობდა ბიოლოგიური ამოცანის მათემატიკურ მოდელებს. საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა კვლევის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს სოციალური საკითხების კვლევა მათემატიკური მეთოდების გამოყენებით. სწორედ ამით არის გამოწვეული, ზემოაღნიშნული აკადემიური ხარისხის მქონე პირების გარდა, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა დაშვების შესაძლებობა საგანმანათლებლო პროგრამაზე. ექსპერთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან დაისვა კითხვა, თუ რამდენად შეძლებენ აღნიშნული ხარისხის მქონე პირები პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, გასაუბრების დროს ხდება მსურველთა

კომპეტენციის შემოწმება, რაც არის იმის გარანტი, რომ დოქტორანტს ექნება პროგრამის ათვისებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ექსპერტთა აზრით გასაუბრება ნამდვილად იძლევა პროგრამის ათვისებისათვის საჭირო კომპეტენციის შემოწმების საშუალებას, თუმცა მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით უკეთესი იქნება მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების პირობა. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმ კონკურსანტებისათვის, მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის, რომელთა კომპეტენცია მათემატიკაში შესაძლოა არ არის საკმარისი პროგრამის ათვისებისათვის და ესაჭიროებათ მეტი დამოუკიდებელი მომზადება.ექპერტები დაინტერესდნენ უცხო ენის მრავალფეროვნების მიზეზით. ასევე, ყოლიათ თუ არა ფრანგულენოვანი ან გერმანულენოვანი დოქტორანტები. რამდენად აქვს უნივერსიტეტს თითოეულ ენაზე შესაბამისი ლიტერატურა. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ წინა სადოქტორო პროგრამაზე, რომლის საფუძველზეც იქმნება წარმოდგენილი პროგრამა, დოქტორანტებს ჩაბარებული აქვთ ინგლისური ან რუსული ენა. ლიტერატურაც ძირითადად ამ ენებზე არის ხელმისაწვდომი. ექსპერტთა მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ არაინგლისურენოვანი დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტმა აიღოს ინგლისური ენის კურსების შეთავაზების, ხოლო დოქტორანტებმა მისი ათვისების ან შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; ○ უნივერსიტეტის ვებ-ვერდი; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს სოცილურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები; ○ სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების პირობა. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ○ სასურველია არაინგლისურენოვანი დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტმა აიღოს ინგლისური ენის კურსების შეთავაზების ვალდებულება; ○ სასურველია არაინგლისურენოვანი დოქტორანტებს დაეკისროთ ინგლისური ენის კურსის ათვისების ან შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის სილაბუსების თანახმად, სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვ. პროფესორის ასისტენტობის, სემინარი 1-ის, სემინარი 2-სა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ასათვისებლად გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, კოლოკვიუმი, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები, დოქტორანს უყალიბებს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უნარ-ჩვევებს. გასაუბრების დროს წინა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისა და განმახორციელებელი პერსონალის მიერ დაფიქსირდა, რომ სადოქტორო თემაზე მუშაობის დროს დოქტორანტები აქტიურად სარგებლობდნენ ხელმძღვანელის კონსულტაციებით; ეცნობოდნენ დარგის უახლეს მიღწევებს; გეგმავდნენ და თავად ატარებდნენ თეორიულ კვლევებს; აკეთებდნენ მიღებული თეორიული შედეგების კომპიუტერულ

მოდელირებას; მიღებული შედეგების შესახებ მოხსენებებს აკეთებდნენ სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებზე. ექსპერტთა აზრით, პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო დისციპლინებს შორის შესწავლის პრერეკვიზიტების სისტემა, რომელიც მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და ასევე ასახულია სილაბუსებში. პრერეკვიზიტების სისტემა მიზნად ისახავს გასავლელი მასალის თანმიმდევრული გართულებისა და განზოგადებისგან განკერძოებისაკენ სვლას პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების ეტაპზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით მხოლოდ ორ სასწავლო კურსს აქვს წინაპირობა. თუმცა, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობა არის სასწავლო კომპონენტების სრული ათვისება, რაც ლოგიკურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამიის კომპონენტებში გამოყენებული შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანასთან. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებულია შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამების ისეთი კომპონენტებში, როგორიცაა პროფესორის ასისტენტობის, სემინარი 1, სემინარი 2 და კოლოქვიუმი, შეფასების სისტემა რეგულირდება სსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 მარტის #05/01-157 დადგენილებით დამტკიცებული **„სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“**. კერძოდ, აღნიშნულ სტანდარტით დანართის სახით დამტკიცებულია:

- სასემინარო ნაშრომის გაფორმებისა და შეფასების ინსტრუქცია;
- პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ფორმა;
- კოლოქვიუმის სილაბუსის ფორმას, რომელიც მოიცავს კოლოქვიუმის გაფორმებისა და შეფასების ინსტრუქცია;
- სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსის ფორმა, რომელიც მოიცავს შეფასების კომპონენტებსა და ინსტრუქციას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრმის სასწავლო კომპონენტების სილაბუსებითა და დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დეტალურად არის გაწერილი როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები. მაგალითისათვის, სადისერტაციო ნაშრომის შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: o დასმული პრობლემის აქტუალობა და კვლევის მიზანი; o პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზის სიღრმა, კვლევის მეთოდოლოგია და ხერხი; o ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა; o უცხოური გამოკვლევების ჩართულობის ხარისხი; o შედეგები და დასკვნები; o პრეზენტაციის ტექნოლოგია და კონტაქტი აუდიტორიასთან. გამოყენებული კრიტერიუმები უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ სადოქტორო პროგრამა; ○ სილაბუსები; დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მოქმედი პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. სსუ სადოქტორო პროგრამის სტუდენტს პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობის (პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების მოცულობა, შეფასების წესი და სხვ.) და სტრუქტურის, საგნებზე დაშვების წინაპირობების, მათი კვირეული სააუდიტორიო დატვირთვის შესახებ პირველადი ინფორმაცია შეუძლია მოიპოვოს სსუ ვებ–გვერდზე (სასწავლო პროგრამებში), სადაც მითითებულია ასევე პროგრამის ხელმძღვანელი – როგორც საკონტაქტო პირი. ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის უშუალო ფუნქციაა სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა, მისთვის სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში დახმარება; სტუდენტისთვის სხვადასხვა ტიპის ცნობების გაცემა; მისთვის კონსულტაციის გაწევა, თუ ვის უნდა მიმართოს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად; სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე რეაგირება (უკუკავშირი სტუდენტთან); სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების (კრედიტების აღებასთან, სასწავლო კურსზე რეგისტრაციასთან, ცხრილთან დაკავშირებით) მოგვარება ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან • გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით აკადემიური პერსონალის - პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობრივი სარგო და სახელფასო დანამატის ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავალდებულო ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათების ჩატარება. ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მიერ გამოიკვრება ფაკულტეტის მიმართულებების საინფორმაციო დაფებზე აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეები და საათები, სტუდენტისთვის ეს განრიგი არის საჯარო და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სილაბუსებში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო ტელეფონების და ელექტრონული ფოსტის ჩათვლით). „მშობელი პროგრამის“ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებს ლექტორებთან ურთიერთობას და კმაყოფილია ლექტორების მხრიდან გამოჩენილი ყურადღებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან • გასაუბრება პროგრამაში მონაწილე პერსონალთან • გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფაკულტეტები აქტიურად ხელს უწყობს კვლევითი, სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, საჯარო ლექციები, ტრენინგები სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პრაქტიკები.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობა პროგრამისაგან დამოუკიდებელ ინიციატივებში გამოიხატება: ფაკულტეტის ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, პრეზენტაციებში მონაწილეობით, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სამეცნიერო კრებულებში. სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორ - მასწავლებლები ყოველწლიურად მონაწილეობენ საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ კონფერენციებში, აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, გამოსცემენ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს, მონაწილეობენ შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში.

ფაკულტეტზე მუშაობს სამეცნიერო სემინარი "გამოყენებითი მათემატიკის პრობლემები", რაც ხელს უწყობს პროგრამის აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების ჩართვას სამეცნიერო კვლევით პროექტებში, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებაში, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში, მოხსენებების მომზადებაში და გამოქვეყნებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- გასაუბრება „მშობელი" პროგრამის კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება პროგრამაში ჩართულ პერსონალთან
- გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ კიდევუფრო მეტი ინფორმაცია საქართველოს სხვა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში მიმდინარე სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ და წახალისდეს მათი მონაწილეობა ამ ღონისძიებებიში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე და მის პრიორიტეტს წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება . 2009 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანებულ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, "TEMPUS", ERSAMUS MUNDUS-ი, ხოლო 2016 წლიდან დღემდე ჩართულია ERSAMUS + და credit mobility პროექტებში, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა, განათლების მენეჯმენტის განვითარება და თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან და სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა. ამ კუთხით გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან • გასაუბრება პროგრამაში ჩართულ პერსონალთან • გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია კიდევ უფრო მეტად წახალისდეს , მათ შორის ფინანსურად, სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და თანამშრომლობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასები, სააუდიტორიო ფონდი და სხვა რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი რემონტდება. იმედია პროგრამა განხორციელდება გარემონტებულ ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • აუდიტორიებისა და სამუშაო სივრცის დათვალიერება • გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართულია ხუთი პროფესორის როგორც ძირითადი პერსონალი. ყველა მათგანს აქვს რესურსი იყოს სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობენ მათემატიკის / გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების აღიარებული მეცნიერები, პროფესორები, რომლებსაც გააჩნიათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფენ პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, ვინაიდან თითოეული მათგანი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება, ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, რომლებიც გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, ამავე დროს გააჩნიათ სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მიღწევისთვის არ არის აუცილებელი პერსონალის მოწვევა
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები, CV.

- გასაუბრება პროგრამაში ჩართულ ძირითად და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ხორციელდება სსუ მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე. ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. ფაკულტეტის მართვა/ადმინისტრირება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას, ახორციელებს სსუ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. დეკანის მოადგილე ახდენს სპეციალობების, მოდულების, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის ცხრილის შემუშავების კოორდინირებას; კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური პერსონალის დატვირთვების განსაზღვრას; სასწავლო პროცესის ცხრილისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგს; ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას;

ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტი აერთიანებს საფაკულტეტო მნიშვნელობის ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური -1 საშტატო ერთეული., სტუდენტთა რეგისტრაციის - 1 საშტატო ერთეული, ფაკულტეტის მდივანი -1 საშტატო ერთეული. ამ კომპეტენტური პერსონალი ხელს უწყობს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- გასაუბრება ფაკულტეტის წარმომადგენლებთან
- გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია მათემატიკის/გამოყენებითი მათემატიკის აქტუალურ და თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სავალდებულო წიგნადი ფონდი, სასწავლო-მეთოდური მასალა განახლდა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, ელექტრონული წიგნებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ელქტრონული ბიბლიოთეკით და ჩართულია ერთიან ელექტონულ საბიბლიოთეკო ქსელში. ვიზიტისას გამოჩნდა, რომ მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკა შეივსოს ახალი გამოცემებით. სილაბუსებში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვანია, რადგან დარგთან დაკავშირებული თანამედროვე გამოცემები და სამეცნიერო პუბლიკაციები ინგლისურენოვანია, ამავე დროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიდან გამომდინარე პროგრამაზე შეიძლება მოხვდეს სტუდენტი, რომელმაც იცის სხვა უცხო ენა და შეიძლება არ იცოდეს ინგლისური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • ბიბლიოთეკის დათვალირება • გასაუბრება პროგრამაში ჩართულ პერსონალთან • გასაუბრება „მშობელი“ პროგრამის კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: • მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყოს გამოცემული იმ ენაზე რომელი ენის ცოდნაც მოეთხოვება კანდიდატს პროგრამაზე დაშვებისას (სასურველია ინგლისური). • საჭიროა ბიბლიოთეკა გამდიდრდეს ახალი გამოცემებით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო მასალებში გამოყენებული იყოს თანამედროვე პუბლიკაციები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამირებისა და მათემატიკის ფაკულტეტზე პერიოდულად ტარდება სემინარები სადაც დარგის წამყვანი სპეციალისტები საუბორბენ თანამედროვე მიღწევებზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. „მშობელი პროგრამის“ კურსდამთავრებულებთან და პროგრამაში ჩარტულ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ ქონდათ შესაზლებლობა მიემართათ ადმინისტრაციისათვის ფინანსური მხარდაჭერისთვის. ასე ფინანსდებოდა მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში და საერთაშორისო კოლაბორაციაში. თუ დაფინანსების ეს ფორმა იქნება სტაბილური და სისტემური (იქნება გამჭვირვალე და დაფინანსების მიღების წესები იქნება ფორმალიზებული) მაშინ შესაძლებელია დაფინანსების ამ ფორმამ უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა და შეუფერხებელი განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- გასაუბრება უნივერსიტეტი ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება ფაკულტეტის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

მნიშვნელოვანია პროგრამის დაფინანსების (სამეცნიერო ღონისძიებებში და საერთაშორისო კოლაბორაციებში მონაწილეობის, ასევე სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურის შეძენის დაფინანსების) წესი იყოს სისტემური, გამჭვირვალე და ფორმალიზებული.

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაიზარდოს საერთასორისო კონფერენციების მონაწილეობისა და საერთაშორისო კოლაბორაციისთვის საჭირო ბიუჯეტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): კარგი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ილია ვეკუას სახელობითი სტიპენდია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 20 აპრილის №05/01-20 დადგენილებით დამტკიცებულია „სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები". აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინბს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასება მოიცავს: • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას; • სასწავლო პროცესის შეფასებას; • სამეცნიერო მუშაობის შეფასებას; • ადამიანური და მატერიალური რესურსებით სწავლების უზრუნველყოფის შეფასებას; • პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის კვლევას. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს დაფიქსირდა, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კომუნიკაციაში იყო მათთან. სწორედ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინიციატივით ჩამოყალიბდა გამოყენებითი მათემატიკის პროგრამა წინა პროგრამისაგან დამოუკიდებლი სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები"; ○ გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსტეტში, სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასება მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას;
- სასწავლო პროცესის შეფასებას;
- სამეცნიერო მუშაობის შეფასებას;
- ადამიანური და მატერიალური რესურსებით სწავლების უზრუნველყოფის შეფასებას;
- პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის კვლევას.

საინტერესო პრაქტიკას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში გარე შემფასებლის ჩართულობა. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის შემფასებლად პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თემურ ჯანგველაძე

სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დოქტორანტს მოეთხოვება, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოაქვეყნოს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომი რეიტინგულ რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემებში, რომლებიც რეკომენდირებულია მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს მიერ. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰყავს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი (ექსპერტი და/ან რეცენზენტი);

გ) დოქტორანტი აკეთებს მოხსენებას ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მაინც, რაც დასტურდება შესაბამისი პროგრამით/კონფერენციის მასალებით; დ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით; ე) დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს: • საქართველოში ავტორიზებულ უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა; • საქართველოში ავტორიზუბულ უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა. დაცვიდან სამი თვის ვადაში დისერტაცია უნდა გამოქვეყნდეს საგამომცემლო ან ელექტრონული ფორმით. აღნიშნული მექანიზმების უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“; ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამოყენებითი მათემატიკა, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამოყენებითი მათემატიკა, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: